ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

თბილისი 0114, თავისუფლების მოედანი 2, ტელ: +995 (32) 2 15 92 92; www.sakrebulo.ge
FREEDOM SQUARE 2, 0114 TBILISI, GEORGIA; TEL: +995(32) 2 15 92 92; www.sakrebulo.ge

№ 3216 „24" თებერვალი 2016 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
ს.ს.ი.პ. არქიტექტურის სამსახურის უფროსს
ბატონ დიმიტრი მოსულიშვილს

ასლი: ქ. ცაგარეიშვილი-აბეს და სხვებს
მის: თევდორე მღვდლის ქ.№33

ბატონო დიმიტრი,

გაცნობებთ, რომ ა/წლის 22 თებერვალს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში შემოვიდა თევდორე მღვდლის ქუჩა №29-33-ში მცხოვრები მოქალაქეთა კოლექტიური განცხადება (№3216), თევდორე მღვდლის ქ.№31-სა და ფოთის ქ.№2-ის სამშენებლო განვითარების ნებართვის გაცემის პროცესში, მითითებულ მისამართებზე არსებული საცხოვრებელი სახლების ავარიულობის გათვალისწინების შესახებ.

გიგზავნით განცხადებას და გთხოვთ, იმოქმედოთ კანონის შესაბამისად.

პასუხი აცნობეთ განმცხადებელს.

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,
ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო
მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე გოჩა ბაბუნაშვილი

07/1839-13
26 02 16

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს

ბ-ტონ გიორგი ალიბეგაშვილს

მოქ. ქ. ცაგარეიშვილი-აბეს
მცხ. თევდორე მღვდლის 33
მოქ. ა. ბედენაშვილის
მცხ. თევდორე მღვდლის ქ. 29
მოქ. ბ. ბედენაშვილის
მცხ. თევდორე მღვდლის ქ. 29
მოქ. ნ. სხილაძე
მცხ. თევდორე მღვდლის ქ. 29
მოქ. ნ. ჯარიაშვილის
მცხ. თევდორე მღვდლის ქ. 29
მოქ. ა. ჯარიაშვილის
მცხ. თევდორე მღვდლის ქ. 29

განცხადება

გთხოვთ, თევდორე მღვდლის ქ. 31 და ფოთის ქ. 2 დემონტაჟისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის დროს გაითვალისწინოთ ჩვენი (ზემოდ ხსენებულ მისამართზე მესაკუთრეთა) სახლების ავარიული მდგომარეობა.

პატივისცემით

ქ. ცაგარეიშვილი-აბე

ა. ბედენაშვილი

ბ. ბედენაშვილი

3216
22 თებერვალი 16

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

თბილისი, 0105, ლერმონტოვის ქ. 10, ტელ: (+995 32) 2 98 29 32; www.sakrebulo.ge

10, LERMONTOVI ST, 0105 TBILISI, GEORGIA; TEL: (+995 32) 2 98 29 32; www.sakrebulo.ge

№ 17660 „10" დეკემბერი 2014 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს
ქალბატონ ნინო ხატისკაცს

ასლი: ბატონ პაატა კიკვაძეს
ქ-ონ ქეთევან ცაგარეიშვილი-აბეს წარმომადგენელი
მის. ქ. რუსთავი, დონეცკელ მეტალურგთა ქ.№5/5.

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა ქ-ონ ქეთევან ცაგარეიშვილი-აბეს წარმომადგენლის ბატონ პაატა კიკვაძის განცხადება-საჩივარი (№17660) ქ. თბილისში, დიდუბის რაიონი, თევდორე მღვდლის ქ. №27-29-31-33-ში და ფოთის ქ. №2-ში მდებარე მიწის ნაკვეთებიდან (ს/კოდი: 01.13.01.07.006.007; 01.13.01.07.006.005; 01.13.01.07.006.014; 01.13.01.07.006.019; 01.13.01.07.006.021), ერთ-ერთი საკადასტრო ერთეულის კერძოდ (№01.13.01.07.006.014) მესაკუთრის თანხმობის გარეშე ზონის ცვლილების შესახებ და აღნიშნულზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილობის საკითხთან დაკავშირებით.

გიგზავნით მასალებს და გთხოვთ, თქვენი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილოთ აღნიშნული საკითხი და იმოქმედოთ კანონის შესაბამისად.

პასუხი აცნობეთ განმცხადებელს და საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას.

დანართი: 7 (შვიდი) ფურცელი.

პატივისცემით,
ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო
მეურნეობის კომისიის
თავმჯდომარე გოჩა ბაბუნაშვილი

სსიპ-თბილისის არქიტექტურის სამსახური
№ 07/12422-13
18 12 14 ფურც
თბილისი 0160, ქ. ვარაზაას ქ.№7

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
№ 05/14345784-14
11.12. 2014 8

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქეთევან ცაგარეიშვილი-აბეს

წარმომადგენლის, პაატა კიკვიძის

მისამართი: ქ. რუსთავი, დონეცკელ მეტალურგთა ქ. #5/5
მობილური: 599679397
ელფოსტა: kikvidze_co@yahoo.com

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა - ს ა ჩ ი ვ ა რ ი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ნოემბრის

#14-27 დადგენილების ბათილად ცნობის შესახებ

როგორც მოგეხსენებათ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ნოემბრის #14-27 დადგენილებით განხორციელდა ცვლილება „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის #6-17 გადაწყვეტილებაში და ამ უკანასკნელით დამტკიცებული დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი - რუკა ჩამოყალიბდა ახლებურად, რომლის ერთ-ერთი ნაწილის მიხედვით, ქ. თბილისში, თევდორე მღვდლის ქ. #27-29-31-33-ში და ფორთის ქ. #2-ში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: 01.13.07.006.007, 01.13.07.006.005, 01.13.07.006.014, 01.13.07.006.019, 01.13.07.006.021) ფუნქციური ზონა, რომელიც განსაზღვრული იყო ზოგადი საცხოვრებელი ზონის სტატუსით, შეიცვალა და მიენიჭა სხვა სტატუსი.

გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთთაგან ერთ-ერთი საკადასტრო ერთეულის (საკადასტრო კოდი #01.13.07.006.014) თანამესაკუთრეს წარმოადგენს ჩემი მარწმუნებელი, ქეთევან ცაგარეიშვილი-აბე, კერძოდ, მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მდებარეობს თევდორე მღვდლის ქ. #33-ში და აღნიშნული მიწის ნაკვეთის ფუნქციური ზონის სტატუსი ისეთ პირობებში შეიცვალა, რომ არ იქნა გამოთხოვილი მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა, ყოველივე ეს კი, ჩემი მარწმუნებლის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს, აშკარად აყენებს ზიანს, რადგან სახეზეა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ფუნქციური ზონის სტატუსის შეცვლა, რაც ცალსახად ახდენს ზეგავლენას მესაკუთრის უფლებრივ მდგომარეობაზე.

აღნიშნული სამართლებრივი მდგომარეობა ჩემს მარწმუნებელ ქეთევან ცაგარეიშვილი-აბეს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზემოაღნიშნული დადგენილებით გადაწყვეტილი საკითხის ფარგლებში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის

17660
25 ნოემბერი 14

პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დაინტერესებული მხარის სტატუსს ანიჭებს, რომელიც მოწვეული უნდა ყოფილიყო ზემოაღნიშნული დადგენილების გამოცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, თანახმად იმავე კოდექსის მე-13, 95-ე, 98-ე მუხლებისა.

შესაბამისად, ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო ნორმათა იგნორირებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სადავო დადგენილება შეეხო ქეთევან ცაგარეიშვილი-აბეს საკუთრების უფლებას და განახორციელა აღნიშნულ, კონსტიტუციით დაცულ სიკეთესთან პირდაპირ კავშირში მყოფი სამართლებრივი რეჟიმის შეცვლა, რაც მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მოსაზრების გაუთვალისწინებლად დაუშვებელი იყო.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კოდექსის მიზანია უზრუნველყოს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებების და თავისუფლებების, საჯარო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვა.

იმავე კოდექსის მე-60 პრიმა მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები, ხოლო 96-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

სავარაუდოდ, საკრებულოს ზემოაღნიშნული დადგენილება ეფუძნება ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმს, რომელიც იძლევა დასკვნას (რეკომენდაციას) კონკრეტული ტერიტორიის ფუნქციორი ზონის განსაზღვრისა თუ ცვლილების შესახებ, მაგრამ ამ შემთხვევაში საკრებულომ საბოლოო გადაწყვეტილება არ უნდა მიიღოს ბრმად, მხოლოდ რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმზე დაყრდნობით, არამედ მან თავად უნდა შეისწავლოს წარმოდგენილი დასკვნა და მისი გონივრული ანალიზის შედეგად გადაწყვიტოს საკითხი, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია და სწორედ ასეთი ტენდენცია ეწინააღმდეგება ადმინისტრაციული წარმოების ფორმალური გამართულობის პრინციპებს.

ამდენად, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია კანონმდებლობის უხეში დარღვევით და მოსარჩელის კუთვნილი, სამართლით დაცული უფლების იგნორირებით, რითაც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაარღვიეს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით აღიარებული საკუთრების უფლება, ასევე 44-ე მუხლით დადგენილი ნორმის ფარგლები, ხოლო აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი მოთხოვნები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოვითხოვთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ საკუთარი ინიციატივით ბათილად ცნოს 2014 წლის 14

ნოემბრის #14-27 დადგენილება და ქეთევან ცაგარეიშვილი-აბეს კუთვნილ მიწის ნაკვეთის აღუდგინოს ის ფუნქციური ზონა, რომელიც ამ დადგენილების გამოცემამდე ჰქონდა განსაზღვრული, ხოლო თუ რაიმე ცვლილების განხორციელების სურვილი იარსებებს, განახორციელოთ ქეთევან ცაგარეიშვილი-აბეს მოწვევა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

დანართი:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ნოემბრის #14-27 დადგენილება;
2. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
3. რწმუნებულება.

პატივისცემით,

პაატა კოკაძე

ქეთევან ცაგარეიშვილი-აბეს წარმომადგენელი

21.11.2014

სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

ბეჭდვა ასლების გადაღება ჩამოტვირთვა დახმარება გადმოსაწერი ფორმა რეგისტრაცია შესვლა

ნაბეჭდი: 63508 ფაილ დამატება

„ქალაქ თბილისის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

Share

დოკუმენტის სია

დოკუმენტის ტიპი

მიღების თარიღი

ორგანოს დასახელება

14-27

14/11/2014

ხელმოწერის თარიღი, 17/11/2014

010270000.35.101.016025

ასლი (1)
+

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №14-27

2014 წლის **14** ნოემბერი

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს **2009** წლის **5** ივნისის **№6-17** გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ თბილისის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებაში (საქართველოს რესპუბლიკა, 25.06.2009, №127-128) და გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკა ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.
2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

ბეჭდვა • ასლების რაოდენობა • ელ-ფოსტით გაგზავნა (ატვირთვა) • ფაილის ფორმატი
ტექნიკური მხარდაჭერა: Azkyo LTD-ს ჯგუფი
სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" 2013-2014. ყველა უფლება დაცულია.

მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო
განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად
გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ



მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.13.07.006.014

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882013029308 - 28/01/2013 11:12:00

მომზადების თარიღი
29/01/2013 15:51:13

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	დიდუბე		
01	13	07	006/014

მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა თეიმურაზ მეფე II , N 33

ნაკვეთის საკუთრების ტიპი:საკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი:481.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:6;
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:N1
შენობა-ნაგებობ(ებ)ის საერთო ფართი: 192.70

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 012007148443 , თარიღი 18/09/2007 16:43:13
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 21/09/2007

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულება N1-14663 , დამოწმების თარიღი:18/09/2007 ,ნოტარიუსი მ. გოგოლაძე
- ანდერძისმიერი სამკვიდრო მოწმობა N2-93 , დამოწმების თარიღი:15/08/2003 ,ნოტარიუსი ლ. უმიკაშვილი

მესაკუთრეები:
თომას აბე (დაბ.23/03/1958) ,P/N: 1374082955
ქეთევან ცაგარეიშვილი-აბე (დაბ.01/11/1959) ,P/N: 01005002111

მესაკუთრე:	აღწერა:
ქეთევან ცაგარეიშვილი-აბე	1/2 ნაწილი
თომას აბე	1/2 ნაწილი

იპოთეკა

საგანდასახალო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოქალაქეთა რეესტრი:

ს ა ნ ო ტ ა რ ო ა ქ ტ ი
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

[illegible] თოთხმეტი წლის თვრამეტ ნოემბერს მე, ნოტარიუს თეიმურაზ ბურდილაძის [illegible] ნოტარიუს ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ც. დადიანის №10.
[illegible] მოქ. ქეთევან ცაგარეიშვილი-აბემ. მან განაცხადა, რომ სურს რწმუნებულების [illegible] პაატა კიკვიძის სახელზე და მოითხოვა ამ რწმუნებულების შედგენა და მისი სანოტარო [illegible] დადასტურება. მე შევამოწმე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი რომ მე ნამდვილად მოქ. ქეთევან ცაგარეიშვილი-აბემ (დაბადებული 01.11.1959წ პირადი №01005002111, მის. მისიელ განცხადებით - თბილისი, თევდორე მღვდლის №33)–მომმართა

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და რწმუნებულების შინაარსი, შემდეგ შევადგინე რწმუნებულება, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მას. მან წაიკითხა რწმუნებულება, მოიწონა, ნათლად და მკაფიოდ განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი რწმუნებულებას

რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

ორიათას თოთხმეტი წლის თვრამეტ ნოემბერს მოქ. ქეთევან ცაგარეიშვილი-აბემ (რეკვიზიტები მითითებულია სქემოთ), რომელიც შემდგომში მოხსენებულია როგორც "მარწმუნებელი", პაატა კიკვიძეს (დაბადებული 04.12.1976წ პირადი №35001031362, მის. ქ. რუსთავი, დონეცკელ მეტალურგთა ქ. კორ. 5, ბინა 5), შემდგომში « რწმუნებული » მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება : რწმუნებული უფლებამოსილია წარმოადგინოს მარწმუნებლის ინტერესები ყველა სასამართლო და ადმინისტრაციულ ორგანოში და აწარმოებს შესაბამის ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეს. რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით განახორციელოს ყველა ის უფლება, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული აქვს მოსარჩელეს (განმცხადებელს), მოპასუხეს, მესამე პირს, მათ შორის, წარადგინოს სასამართლოში სარჩელი (განცხადება), გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი, გამოითხოვოს სარჩელი, დაამთავროს საქმე მორიგებით, მთლიანად ან ნაწილობრივ უარი თქვას სარჩელზე, ცნოს სარჩელი, შეცვალოს ან გაადიდოს სარჩელის საგანი და/ან საფუძველი, გაასაჩივროს სასამართლოს ნებისმიერი აქტი, მიიღოს და გადასახდევინებლად წარადგინოს სააღსრულებო ფურცელი და მიიღოს მონაწილეობა სააღსრულებო მოქმედებებში სააღსრულებო ფურცლის აღსრულებამდე.
რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით განახორციელოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და სხვა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული ყველა სხვა ის უფლება, რომელიც მინიჭებული აქვს ადმინისტრაციული წარმოების მონაწილეს.
რწმუნებული მარწმუნებელს წარმოადგენს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, არარეგისტრირებულ ორგანიზაციებთან, ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობაში და მისი სახელით წარადგენს განცხადებებს, საჩივრებსა და შუამდგომლობებს, აგრეთვე უფლებამოსილია მიიღოს (ჩაიბაროს) მარწმუნებლის სახელზე შედგენილი ნებისმიერი დოკუმენტი, მათ შორის, საქმიანი წერილი და სხვა სახის კორესპონდენცია.
წინამდებარე მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისას რწმუნებული მარწმუნებლის სახელით ხელს აწერს იურიდიული მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებით შედგენილ დოკუმენტაციას.
რწმუნებულება გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე
რწმუნებულება შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო არქივში, ხოლო ორი გადაეცა მარწმუნებელს
გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 10-00 ლარი + რეგისტრაციის საფასური 2.00 ლარი, საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების 31-ე და 39-ე მუხლების შესაბამისად, სულ გადახდილია 12.00 ლარი

მარწმუნებელი : [illegible]

ნოტარიუსი თეიმურაზ ბურდილაძე

http://notary.naprvpn/notary/CoverPage.do?variant=2&actId=15249564

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

31438929475914

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N141261121

რეგისტრაციის თარიღი

18.11.2014 წ

ნოტარიუსი: თეიმურაზ ბურდილაძე
მისამართი: ქ. თბილისი, ც. დადიანი ქ. #10
ტელეფონი: 94-60-78

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18